

F 25

1899

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი
დაჲძვის ცხოვართაფის. იიან. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწმედული. მსრეთ იყოს სიხარული.
ცათ შინა, ერთიასთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 8 ბ
∞

1883—1899

30 გვრილი

იმართის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტა-
ტების პრეზიდენტის კრება ქ. ჩუთაისში 16, 17 და 18 მარტს.

ვაგრძელება *)

თავმჯდომარე მდ. ი. ტაბაძე. ჩვენ გვაქვს ერთი
წინადაღება იმერეთის ეპარქიის ქალების სასწავლებ.
ლის რჩევისაგან გადმოცემული განსახილველად და
გარდასაწყვეტად. კიოხვა შეეხება ამ სასწავლებლის
ექვს კლასიან სასწავლებლად გადაკეთებას. აქ ამ
კრებაზე არის ინსპექტორი ამ სასწავლებლისა ბ.
სანებლიძე და სურს რამდენიმე სიტყვა მოახსენოს
კრებას, და თუ კრება ინგებებს, წარმოსთქვას მან
თვისი მოსაზრება. ჩვენ მოვისმინოთ მისი სიტყვა და

ის. „მწყემსი“, № 6, 1899 წ.

დღეს ამით გავათავოთ სხდომა და ხვალ დილით
ვიქინიოთ მსჯელობა ამ კათების გარდასაწყვეტად“.

კრებამ მიიღო წინადაღება თავსმჯდომარისა და
ბ. ი. თ. სანებლიძემ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა.
ბ. სანებლიძემ განუმარტა სამღვდელოების კრებას,
თუ რა დაბრკოლებას იძლევს სამ კლასიანი ეპარ-
ქიალური სასწავლებელი თითო კლასი ორი წლის
კურსით. განუმარტა სამღვდელოების კრებას, რომ
ექვს კლასიანად გადაკეთება ამ სასწავლებლისა სამ-
ღვდელოებას მოუმატებს სულ, ბევრი რომ ვსთქვათ,
სამი ათას მანეთამდე ხარჯს, მაგრამ სარგებლობას
დიდს მისცემს სამღვდელოებას.

„ვიცი, რომ ჩვენი სამღვდელოება, განაგრძო
ინსპექტორმა, დღეს დღეობით ნივთიერად მეტად
ხელ-მოკლეა და ღარიბა; არა ერთხელ გამიგონია
მათგან, რაც გინდათ მოგვთხოვეთ, რა კეთილ საქ-
მეშილ გნებასთ დაგვისაჟეთ, შააღა ვართ, თავს

დავსდებთ და არ შევრცხვებით, ოღონდ გადასახადს კი ნურას შეგვაწერთ, გვეყოფა რა მძიმე ტვირთსაც ვეწევით. მჯერა ყოველივე ესე, მაგრამ უჭირველია ისიც, რომ თითქმის ყოველს კერძო პირს ყოველ საზოგადოებას, ყოველს ერს მოქოვება თითო-ოროლა ისეთი რამ ძვირფასი საუნჯე; რისთვისაც იგი არასფერს არ დაზოგავს, ყველაფერს მოიკლებს, უშოგარს იშოვის, გაუჩენარს გააჩენს, ოღონდ კი მისს საუნჯეს მეტი ელფერი. მეტი დიდება, მეტი სავსება მიეკეს—შეეძინოს. ნუ თუ შევსკლები, რომ ჩვენი სამღვდელოების ესრეთ საუნჯეთ, სხვათა შორის, დავასახელო ხსნენ ბული გისი ნორჩი სასწავლებელი? სრულიადაც არა,—და მეც ამიტომ ვმედავ განვიაგრძო სიტყვა და მოვახსენო კრებას ჩემი გულის პასუხი ამ სასწავლებლის განკარგების შესხებ.

ამ სასწავლებლის მრავალთა ნაკლთა შორის მივაქცევ კრების ყურადღებას ამ გზობისათ მხოლოდ ერთხედ, რომელიც მეტად მწვავია და წლითი წლათ გველობება წინ, ვითარცა უძლეველი დაბრკოლება. აი ეს ნაკლი: ამ სასწავლებელში არის რვა წლის სწავლა, ხოლო სასწავლებელი მოთავსებულია ოთხს კლასში, ე. ი. თითო კლასში ორ-ორი წელი ზის მოწაფე, თუმცა ყოველ წლივ სწავლის კურსი იცვლება. ამ ნაირად მომზადებული კლასი რომ გამოვრიცხოთ, სადაც აგრეთვე ორი წლის კურსი ერთ კლასში მოთავსებულია, ჩვენ ეპარქიალური სასწავლებელი წარმოგვიდგენს სამ კლასიან სასწავლებელს ექვსი წლის კურსით. ასეთი მოწყობილობა სასწავლებლის გამოწვეულია, რასაკვირველია, სიღარიბისა გამო და ხარჯის შესამცირებლათ; მაგრამ კარგად დაუკვირდით იმ გარემოებას, რომ სწავლის პროგრამა ყოველ წლობით იცვლება, ყოველ წლივ წინ სდგამს ნაბიჯს, ხოლო მოწაფები იძულებული არიან ერთსა და იმავე ოთახში იჯდენ ორ-ორი წელი. აქედან ცხადია, რომ თუ მოწაფემ რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად: ავალყოფობით, ნიკის სისუსტით, მოუმზადებლობით, სიზარმაცით და სხვა... ვერ მასწრო ერთს წელს რომელიმე საგნების პროგრამა, არ შეიძლება განმეორებით კურსზედ დარჩეს, ე. ი. მეორე წელს ისევ ის პროგრამა იმეოროს, ნაცვლად ამისა ან დათხოვნილ უნდა იქმნას სასწავლებლიდგან, ან მიუხედავათ მისა, რომ პირველი წლის საგნები ჯეროვანად ვერ შეისწავლა, შემდეგ კურსის საგნებს უნდა მიჰყოს ხელი, რის შესწავლა და შეფილისა,

რასაკვირველია, ერთი ორად უჭირდება და უძნელდება მას.

ამიტომ ხშირი შაგალითია, რომ მოწაფე ერთს კლასში ორ წელს იჯდა, მაგრამ მაინც არ აღმოჩნდა გარდაყვანის ლირის შემდეგ კლასში, მაშინ იმას აქვთ ისევ იმ კლასში დარჩენის ნება, მაგრამ მიუკილებლად იმავე კლასში ისევე ორი წელიშადი უნდა იყოს, რადგან კლასიდგან კლასში გადაყვანა ორ წელში ერთხელ ხდება ხოლმე. რა ქნას სასწავლებლის საბჭომ ესრეთ გაჭივრებულ მდგომარეობაში? თუ მან მოწაფეთა ნამდვილის სწავლის წარმატებით შტაციალ იხელმძღვანელა, მაშინ ყოველ წელს ყოველი კლასიდგან რამოდენიმე მოწაფე უნდა დაითხოვოს და ეს ხომ დიდს დრტვინვას და გოდებას გამოიწვევს მშობლების მხრით, ან და სუსტი და მოუმზადებელი ბოვშები უნდა გადიყვნოს კურსიდგან კურსზედ და წლითი წლათ დაასუსტოს და დასცეს სწავლის წარმატებითი მსვლელობა სასწავლებელში. ეხლა, როდესაც ამ სასწავლებელს დიდი უფლებაები მიენიჭა და მთლად გათანასწორებულ იქმნა იგი საქალო გიმნაზიებთან, სუსტი მოწაფეების ესეთი ხელის დაფარება სრულიად შეუძლებელი ხდება და ერთი ორად მავნებელი სასწავლებლის ღირსეული სახელის დაცვისათვის.

უეჭველი მავნებლობა სასწავლებლის ესრეთი მოწყობილობისა ხომ ყველასთვის ცხადია და აშკარა, ვინც განვებ არ მოიბრმავებს და მოიყრუებს თავს, —მაგრამ საკითხი ეს არის, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ეს ნაკლი? —აი როგორ: ხსნებული სამ კლასიანი საქალო სასწავლებელი უნდა გარდაკეთდეს ექვს-კლასიანად. მაშინ ყოველ წლივ გაღაყვანა მოწაფეების კლასიდან კლასში და მათ შორის სუსტების დატოვებაც განმეორებით კურსზე დაუბრკოლებლივ შესაძლო იქმნება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი მიაქცევთ ყურადღებას ამ ნაკლის გასწორებას. ხარჯი ამ სასწავლებლის ექვსკლასიანად გადაკეთებისათვის მაინც და მაინც ბევრი არ მოითხოვება და როგორც ამბობენ, თუ ღმერთმა ქმნა და სანთლის ქარხანა გან-

თავისუფლდა იმ ორი ათას ხუთასი მანეთის გადა-
სახადისაგან, რომელიც დღეს ხდება საეკლესიო
ხაზის ნაკლის შესავსებლად, საშუალებაც გამონა-
ხული იქნება და სამღვდელოებას ახალი გარდასახა-
დის დადგინდება არ დაჭირდება“.

18 მარტს კრება გაიხსნა დილის ცხრა საათზე.
ამ დროს გამოცხადდა კრებაზე ინსპექტორი საქ-
ლებო ეპარქიის სასწავლებლისა ბ. სანებლიძე და
ორიოდე სიტყვის ნება ითხოვა. თავსმჯდომარებ
მისცა სიტყვის თქმის ნება. „მე მინდა ორიოდე სიტ-
ყვა მოვახსენო კრებას, სთქვა მან, როგორც გად-
მომცეს ზოგიერთებმა, აქ ზოგიერთებს ეჭვი აუღიათ
ჩემ სიტყვაზე, როცა ვსთქვი, რომ სამღვდელოებას
სულ 2000—3000 მანეთის მეტი ხარჯი არ მიემა-
ტება, თუ ექვს-კლასიანად გადაკეთდა სასწავლებელი-
მეთქი. ზოგიერთებს უთქვამს, რომ ვითომც სამი
კლასის ოთახის აშენება შეიქნება საჭიროვო და ამ
შენობას სამი—ოთხი ათასი მანეთი არ ეყოფათ. ეს
შემცდარი აზრია. ჩვენ ოთახები მზად გვაქვს და არც
ერთი ოთახის მიმატება საჭირო არ არის. ეს მინ-
დოდა მომებსენებია კრებისთვის და გარშმუნებთ
ჟველის, რომ ახალი შენობა სასწავლებლისთვის საჭირო
სრულებით არ არის.

თავსმჯდომარე. მამანო დეპუტატნო თქვენ მოს-
მენილი გაქვსთ ეხლა ეს წინადადება და ვისაც გნე-
ბავდეს ამ სავნის შესახებ სიტყვის თქმა, მითხარით და
დაწინავ, რომ ცველამ გამოთქვას თავისი აზრი.
სიტყვის ნებას თხოულობს დეპ დეკ. დ. ლამბაშიძე.

დეპუტატი დეკ. დ. ლამბაშიძე. სამ კლასიანი
ეპარქიალურ სასწავლებელს რომ ექვს-კლა-
სიანი სჯობს, ამაში, ვგონებ, არავის ეჭვი არ უნდა
ჰქონდეს. ამაზედ სიტყვის გაგრძელება ტუილა
უბრალოდ დროს დაკარგვა იქნება. ეს კითხვა საკ-
მარდ გამორკვეულია და ჩემის ფიქრით საჭირო აღარ
არის ამაზედ ლაპარაკი. თუმცა ბ. ინსპექტორმა და-
გვარშმუნა, რომ ოთახის მიმატება საჭირო არ არის
და სულ 2000—3000 ათასი მანეთის მეტი ხარჯი
არ მოითხოვება, რომ სასწავლებელი ექვს-კლასიანად
გადაკეთდეს, მაგრამ ესეც არ კმარა, რომ სამღვდე-

ლოებამ ეხლავე გარდასწყვიტოს ეს კითხვა. ჩემის
აზრით საჭიროა კომისია დაინიშნოს; ამ კამისიამ
უნდა შეიმუშაოს ეს კითხვა და გამონახოს წყარო
ამ 3000 მანეთის შემოსავლისა და მეორე კრებაზე
მოხსენდეს კრებას საბოლოოდ გარდასწყვეტად.

დეპ. ს. შეკედიძე. არავითარი კომისია არ არის
საჭირო. ეხლავე გადავსწყვიტოთ ამ სასწავლებლის
ექვს-კლასიანად გადაკეთება. რა საჭიროა კომისია.
მამა სიმონ მჭედლიძის აზრს მიემხვრენ ჩვეულებრივად
დეპუტატნი მღვდელნი ნიშნიანიდე და ახვლედიანი.


დეპ. დეკ. დ. ლამბაშიძე. მამაო სიმონ! თქვენ
საჭიროდ არ რაცხ კომისიის დანიშვნას. კარგი,
გთხოვთ შეგვატყობინოთ, რამდენი ხარჯი ითხოვება
ექვს კლასიანი ეპარქიალური სასწავლებელისათვის და
რომელი წყაროდან გინდათ ეს სამი ათასი მანეთი
მისცეთ სასწავლებელს?

დეპ. ს. შეკედიძე. ინსპექტორი ამბობს, რომ
სამი ათასი მანეთი კმარა ყველაფრისათვისო და სამი
ათასი მანეთი სანთლის ქარხნიდან შეგვიძლია მივცეთ.

დეპ. დეკ. დ. ლამბაშიძე. ჯერეთ შეიტყვეთ, მოგ-
ცენენ თუ არა სანთლის ქარხნიდან ამ სამი-ათას
მანეთს და შერე გადასწყვიტეთ.

ღიღი ბაასი ჩამოვარდა ამ კითხვის შესახებ და
ბოლოს კრებამ გარდასწყვიტა დაინიშნოს კომისია
ქალების სასწავლებლის ინსპექტორის სანებლიძის, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედვლის
თანაშემწის ი. დ. გაფრინდაშვილის და ეპარქიის
მეთვალყურის მ. მ. კელენჯერიძისაგან, რომ ამ კა-
მისიამ შეიმუშაოს ეს კითხვა, გამონახოს საშუალება
სასწავლებლის ხარჯის დასაფარავად და შემდეგ
კრებაზე მოხსენდეს სამღვდელოების დეპუტატებს ეს
კითხვა საბოლოოდ გარდასწყვეტად.

დამსწრე.



მ ი რ ა შ ე ნ ი შ ე ნ ა .

„მწყემსში“ მოთავსებულ წერილის: « შესაძლოა თუ არა საღვთო წერილის წიგნები მხედრული ასოებით დაიპეტდოს პასუხად .

წარსულ წელს ღია წერილით დიდის მოწიწებით შევეკითხე ჩვენს მწიგნობრებს საზოგადოდ და განსაკუთრებით სამდვდელოებას ხუცურ ანბანის შესახებ. კარგი დრო გავიდა, ხმა არავინ ამოილო და მაინც სრულიად უყურადღებოდ არ დარჩა ღია წერილი. იანვარში, თელავში მიღებულმა უურნალმა „მწყემსმა“ შეგვატყობინა პასუხი კი არა, „მარტო საზოგადო მოსაზრება“. ეს საზოგადო მოსაზრება შექება ბეჭდურ ნაწარმოების მკითხველთა რაოდენობას, საზოგადოების არსებობას, მეფიროსს, ხუცურის ანბანის ერთის საათით და ერთის დღით შესწავლას, ქართულის მცოდნეთა ათამდის სათვალავს, მხედრულ ანბანის კითხვის სიძნელეს, ხუცურის ლიტერატურის მომავალს ბედს, თუ ხუცური ხმარებიდან გამოვიდა, — ტაძრების წარწერას და ჩვენს ცვლილების მოყვრებას.

დიდად პატივმცემელი ვარ ამ წერილის ავტორის მოღვაწეობისა საზოგადოდ, მაგრამ წერილის შესახებ ორიოდე სიტყვით უნდა სიმართლე ვთქვა. საზოგადოდ წერილის ხასიათი მაგონებს კათოლიკების წიგნს „ენდექს“, რომელშიაც ინუსტებოდა აკრძალული წიგნები და წერილები, რომელის წიგნისა თუ წერილის სახელიც ამ წიგნში მოჰყვებოდა მისი წაკითხვის ან იმის შესახებ აზრის გამოთქმის ნება აღარავისა ჰქონდა. დამნაშავეთ სასტკად სდევნილენ კათოლიკეთა ყველა სახელმწიფო ში.

ზემოდ დასახელებულის წერილის ავტორიც რომის კარდინალებსავით ყველის უკრძალავს ღია წერილში აღნიშნულ კითხვებზედ აზრის გამოთქმას. იქნება არ დაიჯეროთ, რომ ეს ასე, აი, თვით ავტორის სიტყვები:

1) „მართალია, ძალიან კარგი არის უურნალ-გაზეთობის საშუალებით, ბეჭდური სიტყვის საერთო შეკითხებით, ყველგარი ახალის განზრახის აწონ-დაწონვა, ამ გვარი წესი მეტად სასარგებლოა და ყველასაგან მოწონებული, მაგრამ სხვაგან და არა ჩვენში“.

2) „რა ნაირად ვაიგოს კაცმა „საზოგადოების“ აზრი, როდესაც ეპრედ წოდებული „საზოგადოება“ თავისი საქუთარი სახის მექონი. არამე საერთო შეხედულობის აღმსარებელი არც კი არსებობს“.

3) „ჯერ უბრალო საკითხი რა არის, თორემ ასეთი როტული და სავალალო საკითხი, რომელიც «ღია წერილის» დამწერს აქვს აღებული. ხომ ყოვლად შეუძლებელიც არის. რომ კიდევაც ვინმებ გაიღოს საპასუხოდ ხმა, განა დაჯერება მას, ვინც უნდა იყოს იგი და რანაირი ცოდნითაც იყოს აღჭურვილი ქართულ ენაში და საერთოთ ჩვენი ისტორიული ცხოვრების წარმოდგენაში?“

4) „ვისაც მართლა შეუძლიან ამნაირ კითხვებზედ პასუხის მოგება და ვის პასუხსაც შეიძლება ადამიანმა პატივი სცეს და მნიშვნელობა რაიმე დაუმისის, ამნაირების რიცხვი კი ერთ ათეულსაც არ გადაჭრებეს და ნუ თუ ამ ერთ ათეულით გადაწყდეთ ამ გვარი სავალალო საქმე“.

დიახ, ამნაირად უკრძალავს ავტორი აღმრულ საკითხზედ აზრის გამოთქმას. ასაკრძალავ საშუალებად გაუხდია პატივ-ცემულ ავტორს თვით „ქართველთა საზოგადოების“ უარ-ყოფა, ქართველთა ინტელიგენტთა სათვალავის ათამდის შემცირება და სხვა ამისთანანი.

მრწამს და აღვიარებ, რომ ჩვენში საზოგადოება თავისი საკუთარი სახის მექონი, საერთო შეხედულების აღმსარებელი“ არსებობს; რომ ჩვენში მცოდნეთა რიცხვი ასობით ჩამოითვლება; რომ დღეს მომზადებულნი ვართ ჩემ მიერ აღმრულ საგნის გარდასაწყვეტად და ამიტომ განმეორებით ვთხოვ ყველას, თავისი აზრი გამოსთქვინ ხუცურ ანბანის შესახებ. იქნება პატივცემულ ავტორს მომხრეცა პყავდეს და თანამოაზრეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათი რიცხვი ბევრად მცირეა, ვიღრე ეს ჰგონია ვისმე. (i)

საქმე ის არის, აზრის გამომთქმელი მიუღო-მელი კაცი იყოს და თვით იმას ინტერესი არა ჰქონდეს-რა ამ საქმეში. წარმოიდგინეთ, რომ ბერძნულ-ლათინურ ენების სახელმძღვანელოების შემაღებენელთ შეეკითხენ, საჭიროა თუ არა სასწავლებლებში ამ ენების სწავლება. რასაკვირველია, ყველა მიპეტვდება, რასაც იტყვიან ისინი.

ვბეჭდავთ უცვლელად ამ მცირე შენიშვნას ჩვენი წერილისგამო ბ. ნაჯიკვრელისაგან დაბეჭდილს „ივერიის“ ერთ ნო-

მოში. რამდენად საფუძვლიანია ბ. ნადირგველის პასუხი, მაგვინდია მკითხველისათვის. ამ შემთხვევაში ძლიერ გვატერბს ავტორის დობეს ამოფარება და პასუხისმით გამოსვლა : მითანა საგ. ნზე მსჯელობის დროს. ვისი ერიდება და რისი ბ. ნადირგველს?..

ჩვენ არ შეგვძლია ეპასუხოთ გავუშვათ უკანასკნელი მისი შენიშვნა... „საქმე ის არია, ამბობს ავტორი, აზრის გამომთქმილი მიუჯვომელი კაცი იყოს და იმას ინტერესი არა ქონდეს-რა ამ საქმეში„.., ავტორ ს აზრით, რადგან ჩვენ სასწავლო უავის გამოვციო, ამისათვის ჩვენთვის საზარალო იქნება ხუცური ასოების მოსპობა. ასე არ ჰქოიქობთ, ბ. ნადირგველო? ღილა შემცდარი ბრძანდებით. სასწავლო უავის ჩვენ გამოვციოთ ორჯერ, რადგან არავინ მისი გამოცემა თავს არ იდგა. დღეიდან ამ წიგნის გამოცემა სინოდალი კანტრას აქვს მინდობილი და ჩვენ არ ვითარი ინტერესი ამ წიგნის გამოცემისათვის არა გვაქვს. დღიდი ხანი არის, რაც სინოდალი კანტრამ წერ დადება მოგვცა ხეცური წიგნების ბეჭდილება, მაგრამ ჩვენ უარი განვაცხადეთ ამ წიგნების ბეჭდილებები, თუმცა ამ წიგნების ბეჭდვის გაუმჯობესობაზე ბეჭრი ვწერეთ და სასიხარული და ბევრიც გაკეთდა. მე კი სრული უფლება მაქს უთხრა ბ. ნადირების ლს, რომ მას აქვს თავისი ინტერესი ხეცური ასოებ ს მაგრერ მხედრული ასოების შემოლებასა... ერთ დიაკონს წიგნს რომ მისცამდენ თურმე წასაკითხდ, იტროლა ხოლმე: მ ჩემს ერვნში თუ წავიკოთხავ, თორემ სხვა უავნში არ შემიძლია გითხვაო. თურმე გითხვა არ იცოდა და ამით იმართლებდა თავს. ზოგიერთ დიკვერბმა და მასწავლებლებმა ხუცური წიგნების კითხვა: რ იციან და ამისთვის სურსთხული ასოების მოსპობა! ამისთანა ზარმაცითათვის მხედრული ასოებით დაბეჭდილი წიგნების კითხვაც ისე ს: ძნელო ქნება, როგორც დღეს მათვის ხეცურისაა. ასოების გამოცვლა საეკლესიო წიგნების კითხვას უკიცხბას არ დაეცამარება, რაც დღეს ასე გაზრცელებული ჩვენში ირთი რამე მიზეზის წულობით. განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი ტიბიკონის სწავლში გამოსაცდელად გზავნიდა ხოლმე სემინარიილებს ეგზამენტარებთან. ერთხელ ერთი სემინარიილი ჩატრილი ტიბიკონის ცოდნა მი გულ-მოსული გვეუბნებოდა: „მეტიბიკონებ შეითხა: მდგვალი რომ იტენეს „გურთხეულ არს დევრთა ჩვენი“... რა უნდა სოქვას მედავითნემო. „ამას ასე როგორ გაიგებს კაცა, თუ პრატკიკულად არ შეასწავლა. თვითონ ეყვე-“

სიაშიო. ჯავრობდა იგი. კაცო, უთხარ-ო ჩვენ, თორმეტი წელიწადი ეყვესიაშ, დაზიხარ და გესმის მდგვალის სამართლებელი ცურთხეულ არა ღმერთი ჩვენი“, და ამაზე რას იტენების მედავითნე, თუ ეს არ იცი, არა რაღა ისწვლე?..

დასასრულ კიდევ ის უნდა გავიმეოროთ, რომ ძალიან უცნაურობა არის ამ ნაირი ეჭვის შემოტანა: თითქო ჩვენ პირადის სარგებლობის ანგარიშით ვხელმძღვანელობდეთ, მაგალ. როდესაც სიტყვა მადგება რაიმე მნიშვნელოვან კითხვის გარდაწევეტაზე როგორც ბ. გალ. ხსენებული გითხვა. ძალიან შებორგილი უნდა იყოს ადამიანი ანგარით-მოუვარეობით, წვრილმანობით და არავითარი პატივის-ცემაც არ უნდა ჰქონდეს არც ბეჭდელი ს-ტენის და არც მისი მეითხვალის, რომ ამ ცრუ ნიადაგზე დამუარებით ხრიდეს თავის აზრს და შეხედულებას. ეს მოვალეობა უვალას კარგ-დ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და ვის უფრო მოეთხოვება იგი თუ არ რედაკტორს? ჩვენც არა გვაქვს ეს დავიწეუბული და ვერავის ლითონი სიტყვად წარმოთქმული ბრალდება ვერ აგვალებინებს ამაზე ხელს და ვერც აგვაცლის ამ თვისებას... რედაქტორი.

ორიოდე სიტყვა უცავილის შესახებ.

არ იქმნა და არ იქმნა შეცვლა იმ უწეს-რიგო ქველის ჩვეულებისა, რომელიც გამჯდარი აქვს ძალვებში და თითქოს შესისხლხორცებია ჩვენს ისეც დაცემულს მდაბიო ხალხს.

მართალია შეიცვალა დრო და უძი, შემოვიდა სწავლა-განათლება, გაიხსნა სკოლები, მაგრამ რა გამოვიდა? ჩვენი მდაბიო ხალხის ცხოვრება იგივეა, რაც ძველად იყო: ძველად კერპებს თაყვანს სცემდებ და ათასნაირ ნივთებს აღმერობდენ. მართალია. დღეს კი ღმერთს ლოცულობენ, სამებით ერთს, მაგრამ თუ როგორიმე სოფელს ყვავილი ეწვია, მაშინ თავს ანებებენ ღმერთს და შეუდგებიან ყვავილის სამსახურს: ის დიდი, გზა-ბელნიერი, ყვავილ-ბატონები დაბრძანებულა ამა და ამ ადამიანისას და ამართხილებენ იმ შეუსმენარ ხალხს ის ყრუ მოძღვრები: ღმერთი აღარ ილოცოთ, არამედ თხოვეთ მშვიდობა ყვავილ-ბატონებს, რადგან მობრძან-

და, ახლა მისი სამფლობელოა ეს სოფელი; ის მუდამ დღე-ღამე დაბრძანდება თავის უჩინარის რა-შებითა და თვალ ყურს აღევნებს მის თაყვანის მცე-მლებსო... უგუნურ ხალხს ყოველივე ეს მართალი ჰგონია და ღვთის ნაცვლად ლოცულობს ყვავილს. ანიარადვე სწამს უბრალო ხალხს: წითელ ბატონები, მუცელ-ბატონები, ხველა, კისერა და სხ. ვინ ჩამო-თვლის, თუ რამდენ ღვთის საწინააღმდეგოს ხადის უგუნური ხალხი. მას დავიწყებული აქვს პირველი და მეორე მცნება. პირველი მცნება: „მე ვარ უფა-ლი ღმერთი შენი და ორა იქმნენ შენდა ღმერთი უცხონი ჩემსა გარეშე“. მცნება მეორე: „არა პქმენ თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვე-ყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“.

ძლიერ საძნელო ხდება მდაბიო ხალხში სხვა და სხვა ცრუ-მორწმუნეობათა მოსპობა. სწავლა-განათლების გავრცელება მათთვის უქმი ჩეხება. ნას-წავლი კაცის და მოძღვარ-მკურნალის არა სწამთ რა; საჭიროების დროს მიმართვებ მკითხავ-ჯაღისტები, რომელთა რჩევას უნაკლდ აღასრულებენ. საქველ-მოქმედო საჭმისათვის არ ემეტებათ ერთა გროვი და თუ ვინმექ სთქვა: ამა და ამ სოფელში კარგი მკითხავ-მარჩიელიაო, იქ კი გარბიან და თან მიაქვსთ უკანასკნელი კაპეიკი. რასაკვირველია; ამ უგუნურ ხალხს ჯაღისტები ეგებებიან შემდეგის ხერხით: პირველში გამოკითხავენ მათ მათს ცხოვრების ვი-თარებას. ისინიც მოუთხრობენ დაწვრილებით ასე და ასე ჩემი საქმეო. მკითხავი ჰკრებს და ინახავს შემ-დეგისათვის მასალათ და მერჩე შიუბრუნდება და ეტყვის: „ოჟ, შე საწყალო, რა მართალი და კეთი-ლი კაცი იჩაგრები იმ ცუდი მეზობლის გამო! ის არის შენი სისხლის მსმელი, იმას არ უნდა შენთვის არავითარი სიკეთე; მტერი სხვაც გყოლია, მაგრამ ის ერთი დიდად გაბრკოლებს და თუ არ მოიცილე, ცუდად წავა შენი საქმეო და მიუთითებს რომელი-მე მეზობელზე, ან აღმოსავლეთით, ან დასავლეთით, ან ჩრდილოეთით, ანუ სამხრეთით. მისთვის სულ ერთია, რომელსაც ეტყვის, მაინც სარწმუნოთ მი-იღებს მისი მოწაფე. ახლა მისი საშვალება უნდა იკითხოთ: „თუ შეგიძლია და ცოტას დაიხარჯები,

მე განგათავისუფლებ, კარგი წამალი ვიციო; რა-საკვირველია, აქვს თუ არა რამდე იმ საწყალს მო-წაფეს, მაინც ეხვეწება, ოღონდ მიშველე, ის ჩემი მოსისხარი მტერი მომაცილე, ამ ჩემ ავადმყოფზე მომეშველე და რაც გინდა, მიიღეთო. ისიც აძლევს წამალს რაღაც ათასნაირ ნაჭრებით და ბეწვებით შემზადებულს და თან აგალებს: ეს რომ მიიტანო, ამა და ამ ადგილზე დამარხე და ესეც უნ უენი გულზე და ვეღარ მოგეკარება მავნეო, ავადმყოფს კი დაუკალი ცხვარი მსხვერპლათ, ანუ თხა—საბეღნიე-როდ, ანა და ტახი და მამალი—საღედალვთისოდ და მეტი არაფერი გინდა. უგუნური მოწაფეც აძლევს ფულს 5, ან 10 მანეთს, სამს მაინც უკანასკნელია და დაიმედებულ, მიღის სახლში; ხმარობს იმ წამ-ლებს დარიგებისა და გვარად და საკლავსაც იდებს საუკუნო ვალად.

შეიუბრუნდეთ ჩენ საგანს: როცა ყვავილი გაჩნდება საღმე, შემდეგი სახით უბოლიშებენ: გააწ-ყობენ მაგიდას რაღაც ნაჭრებით და, თუ იშოება, ყვავილებით მოქმაზმენ დედოფალის, დასვაბენ მაგი-დაზე; ააწყობენ ჩანგურს—ბატონები დაუკრავსო და მიიყუდებენ მაგიდაზე. დაკვლენ თხას, აიღებენ ერთ ნაჭერს ხორცისას და დაუკიდებენ ახლო მაგიდას-თან, აიღებენ თხის სისხლს რამეთი და დაუდგმენ მაგიდაზე—ბატონები მიირთმევნო. ახლა ხომ მის რაშაც საჭმელი უნდაო, ერთ კონა ჩალას მიაყუ-დებენ ყურეში, ერთ ტასტა სიმინდასა და წყალს დაუდგმენ—რაში მიირთმევსო. ეს, რაც მოგახსენება, იმგვარად სწამთ, როგორც ჩენ და ჩენს ცხენს ჭამა გვინდა. ერთის პირისაგან ჩემის უწრით გამიგონია შემდეგი: «ბატონების რაშა შექამა ჩალა და სი-მიდი და იქავე ნაკელი დატოვაო». ამისთანა კაცი ვერაფრით ვერ დააჯერებ. ისეთი ჯიუტობით გიპა-სუხებენ, რომ ხმასაც ვეღარ დასძრავ.

სოფელ სურებიდამ ამას წინეთ სამი თუ ოთხი ყმაწვილი კაცი გაემგზავრა შორეულ ქვეყანაში მო-საგებად. მთელი ზამთარი იქ დაჲკვეს და მარტის დამდეგს ეს ყმაწვილები მივიღენ სახლში. ერთ იმათგანს მოკვა ერთი თუმანი ფული და მასთან ყვავილ-ჭირვებაც, წამოაჭცია და დადგა ლოგინზე. მე თვითონ ვნახე ის ავათმყოფი და შემდეგი და-რიგება მივეცი თავმდგვურებს: თბილათ აწყოფეთ, სასმელ-საჭმელი ზომიერი მიეცით, რომ მუცელში

არ შეკრას, ძილის დროზე ძილს ნუ გაუტეხთ, მომ-სვლელს-წამსვლელს ყოველთვის ნუ შემოუშვებთ სახლში, თორებ მათი ცრუ-მორწმუნოებით ავათ-მყოფს ძილს გაუტეხენ და აწყენს, მაინც არ არის კარგი ასერილ-დასერილობა, აფათმყოფის აყვან-დაყ-ვანა, რომელიმეს გაუვება ყვავილის ჩირქი, ორთქოის სუნი და ვინც შეხვდება ახლო გამოურებელი, მას დაემართება და შენ, რადგან არ შორდები, შვილს, თავს მოუარე, თბილად იყვი, ბევრს ნუ იჯაფებ, არ გაცივდე თორებ, რომ დაგემართოს ძნელია. როგორც იყო ყმაშვილი გამოჯობინდა და იმედი დაეტყო. მე ჩემი მოვა-ლეობისამებრ გავემგზავრე შორეულ მხარეს. თურმე ის ჩემი დარიგება და ნალაპარაკევი სულ გააუქმეს იმ ცრუ-მორწმუნებმა. და გადაზიდეს მათ მოძღვ-რებამ; ურჩიეს, თავზე მდგომს, დედას: შენ ნაჭირვები არა ხარ, ეხვეწე ბატონებს მეტანით და ფორთხვით, ღმერთი არ ახსენო, ფეხშიშველი უნდა იყო, ტანზე გაიხადო, ლებ-საბანში არ დაწვე და სხვა; რადგან ის დიდი და მოსარიდებელი ბატონები ბრძანდება, იმას იამება ამ ნაირი სამსახური და შე-გიბრალებს, ამ ყმაშვილსაც მოგირჩენს და შენ სულ აღარ დაგემართებათ; ის გზა ბედნიერი და გზა მშვენიერი ისეთი განმავლობისაა, რომ ღმერთი არც კი ისხნება შასთანაო. რასაკვირველია, ის შეგორ-ბული საწყალი დედა ყმაშვილის მიჩერებული იყო მათზედ, რასაც უბრძანებდენ იმას აასრულებდა, მეტი რა გზა ჰქონდა? და კიდევაც შეუდგა სიტყვისამებრ მათისა ფეხ შიშველი, ტან-შიშველი, უქვეშაგებოო, შეტანით და ლოცვათ ყვავილისადმი ვედრებას.

რასაკვირველია, ამნაირად ნაშრომ, ნაწვალებ დედას სიცივით და მოუსვენრობით დატანჯულს გადასდებია ხსნებული სენი და მოჰკიდებია მაგრად; თავმდგურებმაც წესიერი მოვლის ნაცვლად, იხმარეს მათი ზემოდთმულისამებრ და შეუწყვეს ხელი ყვა-ვილს, რათა გაძრიელებულიყო. რაიცა მოითხოვა სიცხით დამთვრალმა და გონება მიხდილმა ავთ-მყოფმა, ის აღსუსრულეს, რადგან ბატონებმა ისურ-გაო და მოითხოვა, მართვით, კარგიათ; ბრძანებდენ ის ცრუ მორწმუნები. სხვათა შორის ქვასანაყი და მარილი მოითხოვა და ისინც მიართვენ, ქოთანიც თავქვეშ დაუდვეს.

სცნო რა მისმა შეილმა დედის ესრეთი მუშ-ხარება და გაჭირება, წავიდა და მოიტანა წამალა აფთიაქდან. მაგრამ რათ ვინდა? ვინ მოიხმარა ის

წაშალი? როგორ შეიძლება მაგისოვის, წამალი სახლ-შიდაც არ შეატანიეს, იმათ თხა მოითხოვეს და ის მოიყვანე და მერმეთ ჩვენ ვიცით მისი მორჩენაო. თხა მოუყვანეს, ყური მიაჭრეს ხელზე შეაბეს, თვი-თონ დაკლეს თხა და მადიანათ შეექცენ; ბატონებს მისი წილი დაუკიდეს, სისხლი დაუდგეს; ჩალა სი-მიღი და წყალი მის რაშს მიართვეს და მოისვენეს-მაგრამ ამითაც ვერას გახდენ, მერმეთ მოიგონეს შემდეგი საშვალება: მოაგროვეს ცხრა გვარის ყვავილ-ნაჭირვები ქალები და შეევედრენ ყვავილს: „კარგო და დიდო ბატონებო, გვასახსრე, გვაპატიე, და გვაჩუქე ეს ადამიანი და შენვე გამსახურებთო“; მაგრამ ამანაც ამაოდ ჩაიარა. აღარ უშმინა იმ ჯი-ნიანმა და საძაგელმა ჭირის-ყოფაშ და კიდევაც გა-მოასალმეს საწყალი ქალი წუთი სოფელს. ახლა კიდევ სხვას დაემართა ხსენებული სენი, მაგრავ თქვერი მტერია, თუ მათ გზა-კვალს დაადგენ, ვინ იცის, რას ჩაიდენენ კიდევ?

ამისთვის საჭიროა ყურადღების მიქცევა ვის-განაც ჯერ არს, რომ აღუკრძალონ იმ ცრუ მორ-წმუნებს მათი გავლენა. თორებ რას მოელის მომა-ვალი დრო, ვინ იცის? იმნაირად უნერგვენ სულში და გულში ახალ მოზარდ ყმაშვილებს, რომ აღმოა საფხვრელად შემდეგისთვის ძნელი იქნება. საჭიროა. ყვავილით ავადმყოფი კაცის შესახებ გამოიცეს წიგნაკები. გულით მსურს ასეთი წიგნაკების გამო-ცემა. მაგრამ რა ვქნა. მე მრავალ-საგნით ვარ და-ხაგრული: ის სწავლა-განათლება, რომელიც მემო-ვიდა ყოველ ქვეყანაში, მე არ მარგუნა ბედმა. მინ-და რამე დაგსწერო, მაგრამ კალამი არ მემორი-ლება, კალამი რომ დაგიმორჩილო, განუვითარებელი გონება მებნევა და ეხლა იმის შეკრებას რომ შეუ-დგე, შორს წავა საჭმე და ამას დასჭირდება სულ-გრძელობა, სულგრძელებას—დღეგრძელობა და ამდენს ვიცოცხლებ, თუ არა, ისიც არ ვიცი.

ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ მკითხველ საზოგადოებას, მომაჭციოს ყურადღება და მიიღოს მონაწილეობა ამ ჩემი გულის წუხილში და შემიმ-სუბუქოს დამძიმებული გულის ვარამი. ვისაც ვა-ვილება და საძებრად არა აქვს არაეითარი მასალა წიგნაკის შესადგენათ, შეადგინს და გამოსცეს და თუ მიბრძანებს, გამოცემაზე მე მივიღებ მონაწილე-ობას, რომლისათვის ვიქნება ღიღი მაღლობელი.

თუმცა ჩემი მადლობის თქმა დიღს არაფერს შეიცავს, მაგრამ როგორც ვფიქრობ, მრავალი იქნება მადლი-ერი, ამასთანავე მისი შრომის სასყიდელსაც მივარ-თმევ შეძლებისადაცვარად ჩემისა, თუმც ნივთიერ ქო-ნებაზედ და ხარისხზედაც მდაბალ წრეში ვდგვარ, მაგრამ ამისთანა წიგნაკის გამოცემისთვის არ დავ-შურავ არავთარ ლონის ძიებას, სულ რომ შიშველი ვიარო. ვანც ამ წიგნაკის შედგენას შეუდგება, არ მგონია, რომ მარტო ფულის რწერები იქონიოს.

გ. ბეჭენეაშვილი.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო ჟღილვები

კარგა ხანია, რაც ერთი ჩვენი მწერალთაგანი ბ. მოსე ჯანაშვილი ზექდავს გაზეთ „ივერიაში“ სა-ისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილებს. სხვათა შორის ამ გაზეთის მე-80 წე-ში დაიბეჭდა ერთი ყურადღების ღირსი წერილი, რომელიც მოგვყავს აქვე:

„შვენიერის მხედრულით ჩაწერი წიგნი (№ 404), გვ. 252, თავი აკლია), რომელშიაც შემდეგი წე-რილებია:

ა. სწავლიანი სულიერნი წმ. მამისა ჩვენისა მაქ- სიმე აღმსარებელისანი. თარგმნილი წმ. მამისა ეფთ- ვიმის მიერ (გვ. 5—96).

ბ) შვილნი მომაკვდინებელნი ცოდვანი და მათნი მომკვლელნი და სულის განმანათლებელნი სათნოე-ბანი, აღწერილი სულხან საბა ორბელიანის ძმის ნიკოლოზ ტფილელის მიერ (96—155).

გ) სათნოებათათვის ხორციელთა და სული- ერთა (157—252).

წიგნში მრავალი სწავლაა ზნეობრივი და და- რიგება. მაქსიმე აღმსარებელი მეტად საყვარელი მწერალია. იგი ტომით ბერძენი იყო და ხატთა

მბრძოლ იმპერატორებმა კონსტანტინე და ლეიონ ისავრომ შეიპყრეს და საქართველოში წარმოგზავ- ნეს. მაქსიმე ორის მოწაფით კარგა ხანს დაშთა სვა- ნეთში, მერე იყო მურში, თავკვერში და აფხაზეთს (იხ. სეინაქსარი № 222 და სხ.) ამ მაქსიმეს ნაწე- რები ბევრი შენახულა.

ამ წიგნის მეორე და მესამე წერილებიც სავ- სეა ბრძნულის სწავლა დარიგებით.

მომაკვდინებელ ცოდვათა თავი ამპარტავნებაო, ამბობს ნიკოლოზ ორბელიანი. „ამპარტავნება ეს არს: რომელსაც თვისი ნათქვამი და ნაქმარი ღილად მოსწონდეს და ღილად დიდების მოყუარე იყოს და სწავლების მოთაკილე“.

ამ ამპარტავნებისაგან გამოვლენ:

1. უსჯულოება,
2. ურცხვინოება,
3. თვითრ- ჩულობა,
4. ქედმალობა,
5. მაჩვენებლობა,
6. ზესომჩენობა,
7. ლალობა,
8. წვალება,
9. გმობა,
10. ზუაობა.

ყველა ეს ახსნილია ცალკ-ცალკე და მერე:

„ეს ამპარტავნებელისა აღმოიგხვერების სიმდაბ- ლით. სიმდაბლე ეს არის: კაცი კეთილს რომ ირ- ჯებოდეს, გული არ აღიმაღლოს და თავი თვისი ყოვლის კაცისაგან უდარესად მიაჩნდეს“.

სიმდაბლისაგან გამოვლენ ესენი:

1. კრძალვა,
2. სულგრძელება,
3. მყუდროება.
4. სიგლახაკე,
5. უპოვარება,
6. უნდოება,
7. სი- შიშვლე,
8. უცხოება,
9. უშუცრება,
10. შეუ- რაცხება.

მეორე მომაკვდინებელი ცოდვა არის არა-წმინ- დება, ამისაგან გამოვლენ:

1. ნათესავთ იღრევა.
2. ტრიობა,
3. პირუტ- კვება.
4. სოდომური,
5. ლაციობა,
6. ბილწება,
7. სიჩუქნე,
8. ლილწება,
9. მრუშება,
10. სიძვა.

ამათი მომაკვლელი მადლი არის სიწმიდე, რომ- ლისაგან გამოვლენ:

1. სინაული,
2. ალსარება,
3. მოლუაწება,
4. სარწმუნოება,
5. სასოება,
6. სიმართლე,
7. უმან- კოება,
8. სიწრფოება,
9. დუმილი,
10. სახიერება.

მესამე ცოდვა მომაკვდინებელი არის ნაყროვ- ნება, რომლისაგან გამოვლენ:

1. სიმთვრალე,
2. ცოობა,
3. აღმოგდება,
4. განცხრომა,
5. თოდრაკელობა,
6. შფოთება,
- 7.

უთმინოება, 8, უძლებები, 9, გემოთმოყვარება, 10, ამბოხება.

ამათი ამომფხერელი მადლი მარხვაა, რომლისაგან გამოვლენ:

1. მღვიძიარება, 2, ცრემლი, 3, მგლოვარება. 4, სულთქმა, 5, შიმშილი, 6, წყურვოლი, 7, ხელსწოლა, 8, ხმელის ჭამა, 9, ოხვრა, 10 კვნესა.

მეოთხე მომაკვდინებელი ცოდვა არის მკონარება, რომლისაგან გამოვლენ:

1, უდებება, 2, დაკანილობა, 3, მოწყინება, 4, განკითხვა. 5, სიცბილი, 6, ცუნდრუკება, 7, ცრუფიცი, 8, მეღგრობა, 9, უმეცრება, 10, სასოწარკვეთილება.

ამათი ამომფხერელი მადლი სიმხნეა, რომლისაგან გამოვლენ:

1. ლოცვა, 2, დაყუდება, 3, ფსალმუნება, 4, შრომა, 5, სწავლა, 6, მხურვალება, 7, მეცნიერება, 8, მოკუდინება, 9, მუხლო-დრეკა, 10, ვედრება ღვთისა.

მეხუთე მომაკვდინებელი ცოდვა მრისხანებაა, რომლისაგან გამოვლენ:

1. სიძულილს, 2, გულისწყრომა, 3, გინება, 4, წყევლა, 5, შეურაცხება, 6, ლალვა, 7, უწესოება(?), 8, უმადლოება, 9, მანკიერება, 10, გულარძნილება.

ამათი მომკვლელი სიმშეიდვა, რომლისაგან გამოვლენ:

1. სიბრძნე, 2, გონიერება, 3, კაცო-მოყვარეობა, 4, მოთმინება, 5, მორჩილება, 6 შიში ღვთისა, 7, სიმტკიცე, 8, მშვიდობა, 9, ქველის საქმე, 10, ღვთის-მსახურება.

მეექვსე ცოდვა არის შური, რომლისაგან გამოვლენ:

1. ზაკვა, 2, მტერობა, 3, სივერაგე, 4, თვალ-ლება, 5, კიცხვა, 6, ძვირის ხსენება, 7 შესმენა, 8, ქირდვა, 9 უწყალოება, 10, მწამლველობა.

ამათი მომკვლელი მადლი არის სიყვარული, რომლისაგან გამოვლენ:

1. სათნოება. 2, მიტევება 3, სიტკბოება, 4, ლმობიერება, 5 წყალობა, 6 ძეირუხსენებლობა, 7, შენდობა, 8 ურისხველობა, 9 წურთა უგუნურთა, 10 დაფლვა მკვდართა.

მეშვიდე მომაკვდინებელი ცოდვა არის ჰანგარება, რომლისაგან გამოვლენ:

1, ვერცხლის მოყვარება, 2, ღადრობა, 3 ცილისწამება, 4 ტაცება, 5 კაცის კვლა, 6 შმაცვა, 7 ტყვის გასყიდვა, 8, პარვა, 9, მოხვეჭა, 10, კერპთ მსახურება.

ამათი მომკვლელი მადლი არის მოწყალება, რომლისაგან გამოვლენ:

1. მშერტუჭევა. 2, მწყურვალთ სმევა, 3 თბოლთ ზრდა, 4, სნეულთ მოვლა 5, შიშველთ შემოსა. 6, პყრობილთ ნახვა, 7, უცხოთ შეწყნარება, 8 ტყვეთ ხსნა, 9 დავრდომილთ ურვა, 10, მტერთა და მოყვარეთაფის ლოცვა.

მაშასადამე, ამ წერილში განმარტებულია და სალექსიკონოდ ახსნილი 7, ცოდვა და 70 მისი კერძოობა და 7 მადლი და 70 მისი კერძოობა, ე. ი. სულ 154 სიტყვა.

წერილის ბოლოს კვითხულობთ:

„ეს შვიდნი ცოდვანი, მომკვლელი სულისანი, და შვიდნი წამალნი, მომკვლელი მათნი—მძიმეთა მათ სენიანი, თბილელ მიტროპოლიტის ნიკოლაოზის ორბელიანის შექ ვლწერილი არის. რომელნი იხილვიდეთ, შენდობას უბრძანებდეთ.

ამ ნიკოლოზ ორბელიანის შესახებ ერთ-ერთ წინა წერილში გვქონდა საუბარი.

მესამე წერილში ფრიად საყურადღებოა სწავლა, „თქმული ბოროტთა დედათაფის“.

არა რაი არს მსგავსი ქვეყანასა ზედა ბოროტისა დედაკაცისა და ენოვანისა, ხოლო არა რომელი მხეცი მსგავს არს დედაკაცისა ბოროტ ხელოვანისა...; უმჯობეს არს ყოფა ლომთა თანა გინა ვეშაპთა თანა უდაბნოსა შინა, ვიდრე და დედაკაცისა თანა ბოროტ ენოვანისა და მანქანისა..

...დედაკაცი უკეთუ არს გლახაკ, ყოველთა განიკითხავს, უკეთუ მდიდარ არს, არავის განიკითხავს...

მე ვიხილენ: ურჩნი ასპიტნი დაიმორჩილნეს, და ლომი და მარტორქა და დათვი დაიმორჩილეს. და დამწყეს, და დედაკაცი ბოროტი არა დამშვიდეს. უმჯობეს არს ხარშვა რეინისა, ვიდრედა წურთა (წერთა) ბოროტისა დედაკაცისა.

უწყოდეთ ეს: რომელსა ესეს ცოდლი ბოროტი, სასყიდელი ცოდვისა თვისისა მიუღიეს, რამეთუ დედაკაცი ბოროტი არასაღა დამშვიდების მქენჯნელთა განურისხდების და განუცოდების, მშვიდთა

ოღუზლვავდების, რამეთუ არა უწყის დაცვად ჩვეულება სიყვარულისა.

გვ. 251: მღვთების ეკლესიას შემოგწირე წიგნი ეს—სწავლანი—ანამ, ბევან ერისთვის ასულმან. რისხვითა შენითა განურისხდი, ვინცა იძულებით ხელყოს და განიტაცის შენის ტაძრიდამ“.

იმას თავისივე ხელით სწერს ეს პატიოსანი ანა, რომელიც, როგორც დაინახავთ კვლავაც, ფრიად წიგნის მოყვარე ადამიანი ყოფილა.




ლოთობის უბედური შედეგები

ლოთობა—ადამიანის დამღუშება. შეეცა და სორვეგია მეტად ცივი ქვეწებია და წინათ ძალიანსაც იყო იქ გავრცელებული დოთობა, მაგრამ მთავრობაში უკადდება მიაქცია, მიიღო ზომები, შეამცირა სასმელების დუქნები, აუკრძალა მაგარი სასმელების გამოხდა და ეხლა ერთი სამათ იკვლე დოთობამ. საფრანგეთის სამხრეთი შესრე და იტალიის ჩრდილოეთის შესრე, თუმცა თბილი ადგილებია, მაგრამ ამ უკანასკენელ სანებში დოთობაში შესამჩნევად იმატა, რუსეთში ხომ კაცი ფეხს ვერ აუქცევს ლოთ საჭხს, ამ სახელმწიფოებში უკვლე სარწმუნოების და ერთეულის საჭხი სტანდარტის: მაგრადიანები, ებრაელები, ერგაზები, ბაჟირები, რომელიც სახმელებს არა სმენ და ამატომაც ჯანმრთელობითაც სხვა სასმლის მიმდევარ საჭხოსნობაზედაც მაღლა სდგანან. მდ. უოლგის ნაპარებზე დასახლებულ საჭხში იშვაათად იშვათ იშვათას დაბალი წრდების შეშა საჭხს, რომ დღით არ იყოს. მათ მეზობლათვე სტანდარტების ქვედა სარწმუნოების მიმდევარი საჭხი: მაღლები, მეშვათენი, შტრუნდები და სხ. რომელიც ისევე რუსები არიან, მაგრამ არც თამაჯას ეწევან და არც სასმელებს სმენ. უკვლე ეს საჭხოსნობა მაღლა სდგას კოფას ქრისტიანით და სიმდიდრით. ამ რიგთ გინც დოთობას აერის აკარგიანობას აბრალების, ტეულით თავის გამართლებას და მოკლებულა ჭეშმარიტებას. გრძელილებაშ სათლად დამტკაცა, რომ სადაც დოთობა გავრცელებულია, იქ ავადმეტვობა და სიკვდილი ხშირია. იმ მსარეს, სადაც მოქანდაცებულა დოთობები, იქ მეტი გადამდები სხეულებაა, რადვანაც დოთო კაცის სხეულს მიმზადვების აქვს სხეულების მასალებად და მეტად

ხდილობს. რომელ შხარეშიაც ნაკლებათ არის სასმელების დუქნები, იქ დოთობაც მცირება, მაგ. შევიცარიაში ერთ სანად ფეხები გადიდგა დოთობაში, მაშინვე მთავრობაში შეამცირა სასმელების სახლები და დოთობაც შესამჩნევად მოისხმა.

საფრანგეთი არის თბილი, მდიდარი, თავისუფალი და თითქმის უკვლე საჭხოსნობაზე განათლებული შხარე, მაგრამ იმანაც კი შესცდა მეტნიერების წმიდა მცნების წინაშე. ამ ეს მეოთხე საუკუნეს შენიშვნეს, რომ საფრანგეთში ახალ დაბადებულთა რაოდენობა დღითი დღე მცირდება. ამ შემთხვევაში ერთ უმთავრეს მაზუმთაგანა დოთობაა. იმას დამტკაცება ადგილია: ველური საჭხი, რომელიც ვადრე ევროპიულების გაიცნობდნენ, სასმლიასა არ ესმოდათ რა; როდესაც იგემს სასმელი, მეტად გაუტკბით, დაწეს დოთობა მოქარებული და სრულიად ამოსწევდნენ. კარდა იმისა, რომ დოთობა საჭხის რაოდენობას ამცარებს, მომავალ თაობას ჭიადავს სხეულო და მცირე ტანიდანთ! როდესაც ახალგაზღვის ჯარში წაგებნის დროს ქამები ამოწმებენ, ნახევარზე მეტი მათვანი ზომაში არ მოდიან და სხეული დებებიან.

ლოთ კაცს კარდა ჩამთველიას უბედურის თვალებისა, საშნელია მამზადველობაც აქვს თავის თავის მოვალეობა. ეგრძიას სხვა-და-სხვა მხარეებში შენიშვნეს, რომ სადაც დოთობა მძღინვარებს, იქ თავის-თავის სიკვდილიც წმირია. სორვეგიელებმა ერთ სანად ძალიან ხელი მიჰევებს ლოთობას და საჭხის რაოდენობაც შესამჩნევად შემცირდა, მას აღვდება წინადამდეგ სასმელი მთავრობა, დაგზავნა დაბა-სტატუსებში მქადაგებლები და მათის ტელგავლებით საჭხის უმეტესობაში უარ ჭერ დოთობა. იმ ტელსვე იმატა საჭხის რაოდენობამ და თვის თავის მევლელობის რიცხვიც იმის დაგვარ შემცირდა. ლოთობა არამც თუ თავის თავის აკვლევების ადამიანს, არამც სხვათაც მრავლობით ისტუმრებს საინიასებენ. ლოთობის წეალობით უანგარიში საჭხი ისოცება მაგარა სასმელების დუქნებში, უკანას და სისტრუმეტობებში, რომლის მაგალითს გვამტკაცებენ ტესტადებით გაუსილი სამატიროები და კარილოდები. („ც. ფ.“)



ახალი აშშები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ წიგნი ერკან შატრიანისა, გლეხი გაცის ისტორია, თარგმნილი ფრანგულადან ბ. ი. მაჭუვარიანისაგან. წიგნი მოზრდილი ფორმატისაა, ხუთას გვერდამდეა, ფასი კარგ ქაღალდზე მანეთ ნახევარი და ჩვეულერივზე— ერთი მანეთია.

როტმილდებას ქონება. შველამ ვუწიოთ, რომ თუმცა როტმილდებას აქა-იქ აქვთ ბანები, მაგრამ საერთოდ უველანი ერთს ძარღვის ცემას ემორჩილებიან. მთავარი ბანკი არსებობს პარიზში და ამგვარებივე ლონდონში, ფრანგიურ-ტში და ვენაში. ამოთხი ბანკის შეძლება ამ ეა- მად გამოიხატება 8,000,000,000,000 მან. (რვა მილიარდი). სულ უკანასკნელი რომ ვიანგარი- მოთ და მათი წლიური სარგებლად მარტო 5% ჩავთვალით, მაშინ მარტო წლიური შემოსავალი ექნება 400,000,000 (ოთხასი მილიონი მ.) მაშა- სადამე როტმილდებას შეუძლიანთ ხარჯონ უოველ წლივ 400 მილ. მან.; უოველ თვე 35,500,000 მან., უოველ დღე 1,200,000 მან., უოველ საათში 50,000 მან. და უოველ წუთს 300 მანეთი.

სეტემბრი ტფილისში. 17 აპრილის; საღამოს, ასე ექვს საათზედ ტფილისში ჯერ წვიმა-ქარმა დაჭრერა, მერე დაწვიმა და ცოტა ხნის განმავ- ლობაში სამინელი სეტემბრი წამოვიდა. სეტემ- ბარი თხილის ადენა იქნებოდა. სულ ხეთიო- ნდე წერთი მოდონდა სეტემბრი და მერე ერთბაშად- ვე შეწყდა.

მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ ფულის შესაკრებად დანიშნული იყო იმერეთის ეპარქი- აში შმდ. ი. გერესელიძე და მესხი, რომელთაც მცირეს დროში შეუკრებიათ ხუთასი მან.



სწორი და შეცრიელება ქრისტია- ნობის სამწმენოებასა და კეთილ- ზნეობაზე.

აქაზის კერა

მამა გაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

დედები.

გაგრძელება *).



ოველი ერისათვის, რომელიც განათლე- ბით მაღლა დგას ველურ ხალხზე, შეი- ლების სიყვარული დედისაღმი ერთი უუნაზესი და უძლიერესი გრძნობა და კავშირია. ამიტომ დედაკაცების ზედავ- ლენა უოველოვის უმთავრესი ძალაა მსოფლიო ისტორიაში. სამღრთო წერილში ბევრ ადგილს არის ეს გამოხატული. მწუხარების უფრო ღრმულ გამოსათმელად მეფე-წინასწარმეტყველმა ეს სიტყვები იხმარა: „ვიდოდს მწუხარე, თავდახრილი, ვითარცა მტირალე დედისა“.

მოსე წინასწარმეტყველი უუმაღლეს წერტილს გვისურათებს, რომლის ჰილწევა შესაძლებელია ქვეყ- ნიური სიყვარულისაგან:» ნუ თუ დაივიწყებს მშო- ბელი დედა ძუძუ მწოვარ ბავშვს ისე, რომ გული არ დასწვას თვისმა ნაწლევმა?“

ეს სიყვარული სიკვდილივით ძლიერია, თით- ქმის უძლიერესიც. როგორც პოეზია ისე მხატვრო- ბაც გაიტაცა იმ შეუდარებელმა გრძნობამ, რომელ-

*) იხილე „მწყემსი“ № 7, 1899 წ.

საც შეიცავს შემდეგი ამბავი: „რიპუტ, აის ქალმა, წაილო ძაბა, გაშალა იმ მთაზედ და იჯდა მუნ მკის დასაწყისილან, სანამ არ გადმოეშვა მათზე ციდან ღვთიური წყარო, დღისით არ უშვებდა ფრინველთ ცისათა, და ლამით მხეცეთ ტყისათა“.

ლორდ ტენისონმა მის პოემას „რიცმა“ დაარქვა, რომელშიაც ისეთივე ამბავია მოთხრობილი, როგორიც აის ქალის ისტორიაა. განსხვავებას მხოლოდ დღიური ცხოვრების მოვლენები წარმოადგენს.

შექსპირი, რომელსაც არც ერთი მოვლენა არ გამოეპარებოდა, მისი ნაწერების შინაარსად შვილებისა და დედის ერთი ერთმანერთის სიყვარულს იღებდა ხშირად. მისი „კორიოლანი“ იმ აზრზედ არის აგებული, რომ თუმც მკაცრი და მიუდგომელი ხსიათის არის რომაელი, მაგრამ მაინც არ შეუძლია დედის თხოვნის გაწილება, მაშინ როდესაც ცოლის თხოვნას ყურსაც არ დაუგდებსო.

შესანიშნავი და კეთილ შობილური ქრონიკის — „მეფე დეონი“ — უფრო გრძნობით სავსე ადგილი ის არის, სადაც კონსტანტი გოდებს თვის პატარა ასტურზე. „ჰამლეტში ვკითხულობთ, რომ უგუნური და ცბიერი დედაც იმორჩილებს რამდენიმედ შვილის გულს. შექსპირი თვის ტრაგედიაში „ტროილი და კრესილა“ ახალ-გაზდა კაცის შემდეგ სიტყვებში დედაკაცის ზედგავლენის სიძლიერეს გვიხატავს:

„ნუ, ნუ მეტყვე ამას, გაფიცებ ღმერთსა, იცოდე, რომა ჩვენც გვყვანდა დედები“. ინგლისელების ლიტერატურას რომ გადავალოთ თვალი, ვნახავთ, რომ ისე ღრმად ვერც ერთი ნაწერები ვერ იგიტოკებენ გულს, როგორც ისინი, რომელშიაც შვილების დედისადმი სიყვარულია დასურათებული.

«ტურფა თანამეგზავევ სიყრმის დღეების სიხარულისა,

ჭირში მარადის აღრიანად მე ნუგეშს მცემდი შენი სული დღესაც ჩემთან არს, ცის მაღლობიდან მე თვალს მაღევნებს, მას ჩემს სულსაც თანუერთებ“. ვერც ერთი პოეტის ნაწერი ვერ შეედრება სინაზით იმ გოდებას, რომელიც გამოსთქმა კავკერმა მის შესანიშნავ ლექსში 『დედა ჩემის სურათს“.

„ოჰ, ნეტვი, ისევ დაინძრეოდენ შენი ბაგენი, მის შემდეგ

მე ველარ ვცოცხლობ, ოდეს მისი სიტყვები ყურტ აღარ მესმის“.

ტენისონმა მისწერა პრინცესას:

„გეგონებოდათ, დედა ჩემის ყველა უნარი დიდი პოეტის ძლიერი და მშვენიერი ფანტაზიის შექმნილი, ნაშობი არის“. შემდეგ ასე განაგრძობს:

«არა ბრწყინვალე გარევნობით, არამედ მშვიდი სახლოსნობით, არა სიმშვენიერით, არამედ სინაზით ყველა მოხიბლა, თუმც ანგელოსი არ იყო, ანგელოსზედ ძვირფასად უსთვლიდით ანგელოსებრივი სიმშვიდით, ის ჩვენთვის ჰქმიდა სამოთხეს».

დარწმუნებული ვარ, რომ უძეტეს ნაწილს მკითხველი საზოგადოებისას არ ექნება წაკითხული შესინიშნავი სიტყვები სერ ედვინი არნოლდისა. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტები:

„მზე ჩაესვენა წითლად, დიდებით, მთები მოიცო ყველგან ბურუსმა,

თან შობის ნაპირო შუა მომწყვდეული ტბებიც ცამციმები ჩუმად და ნაზად, ამიერ დან შორს არს მშობელი,

დიდი ხანია გამოვეთხოვე,

მაგრამ გული კი მისკენ მიიღოტვის,

შენთან არს, დედავ, უცილობელად.

კარგადაც მახსოვე ის ტკბილი დღენი,

ოდეს შენს მუხლზედ, დედავ, ვგორავდი,

შენი ხმა ტბილი სმენას მიტკბობდა

და ნაზ თვალებში გაცქერდებოდი.

მესიზმრებიან გასულნი წელნი,

მიუღულდებიან ძველი ფიქრებიც.

მეც და მიდამოც გამოვიცალეთ —

უცვლელი არის შენზედა ხსოვნა.

რაზომ გიყვარდი, ნეტარო დედავ!

როდესაც შენი ტკბილი ალერსი

წარმომილება, თვალთაგან მცვივა

წყნარი ცრემლები სიყვარულისა.

ულირსი ვიყავ მარადის შენის

ტურფა ნარნარი სიყვარულისა,

მაგრამ მერწმუნე — ტყუილს არ გეტყვი —

ფიქრიდან წამსაც არ ვიშორებდი.

წარმომიგზნე შენი კურთხევა

მე აქაც შენს სამშობლო მხარეს

ლრმა მღელვარებით ატაცებული
ქედს უხრი გულში შენს წმიდა სახეს“.

პოეტების ნაწარმოებით იმიტომ ეხელმძღვანე-
ლობთ, რომ პოეტებს ყოველ დროს ვსთვლიდით
და ვსთვლით დღესაც ზეობის გამოცდილ მასწავ-
ლებლად, ვინაიდგან ისინი დაწვრილებით სჭირებენ
კაცობრიობის ცხოვრების ყოველ მხარეს, რომელიც
შეუმჩნეველია ნაკლებ ნიჭიერთა გონებისათვის. ის-
ტორიაც საკმარისად მოწმობს, რომ დედების ზედ-
გავლენა ბადებს ამა თუ იმ იდეალს ხალხში და
აუკრის უკანასკნელს შრომის გზაზედ.

გავიხსენოთ სპართანელთა დედები. ამათაც,
როგორც მთელს ერს, ის სწადდათ, რომ სპართა-
ნელები გმირული მამაცობით ყოფილიყვნენ ალ-
კურვილნი, და შესძლებოდათ შეუმჩნევლად ატანა
ყოველგვარ გასაჭირთა, და სატკივრებისა. ეს თვი-
სება უთუოდ მიუცილებლად საჭირო იყო იმ ერი-
სათვის, რომელიც სამშობლოს თავისუფლებას მხო-
ლოდ მკლავის ძალ-ღონით იცავდა და სატახტო
ქალაქს კედლების სამაგიროდ გულმკერდით ეფარ-
ნენ. ამ გარემოებამ შეჰქმნა სხვა-და-სხვა ხასიათის
თქმულებანი, რომლებმაც აღტაცებაში მოიყვანეს
მაშინდელი ქვეყნები.

ერთხელ ახალგაზდა სპარტანელმა შესჩივლა
დედას, ხმალი ძრიელ მოკლე მაქსო. დედამ მოსწ-
რებით უპასუხა: „წინ გადასდგი ზედმეტი ნაბიჯიო“.

ერთმა სპართანელმა დედამ ფარი ჩაბარა შეილს
და თან მოკლედ უთხრა: „მასთან ან მასზედ“ ფარ-
თან ან ფარზედ, ე. ი. ან მოიტანე ფარი გამარჯვე-
ბულმა და ან მკვდარი უნდა მოგიტანონ მისზედო.

კველა დიდებული სჯულის მდებელნი გრძნობ-
დენ დედების ზედგავლენის დიდ მნიშვნელობას,
მით უფრო ეროვნულ დიდ მნიშვნელოვან მიზნების
შესახებ. ნაპოლეონს კითხეს: სად სჯობიან კველა
მოლაშქრეთა აღზრდაო! «საბავშოშიო», მიუგო მან.
ნაპოლეონი ფრანგ დედებისაგან თხოულობდა, რომ
ისინიც დახმარებოდენ დიდებული ტრადიციების
გავრცელებას, რომლებიც, ეჭვი არ არის, ამხნევებ-
დენ მის გამოუცდელსა და ნახევრად მშიერ ჯარის
კაცთა; ამიტომ ადვილად შეეძლოთ მათ თითოეული
ბრძოლის ველიდან მოეკრიბათ ევროპიელ ჯართა
კვავილი.

სიცემი,

თქმული შეგ. ნესტორ უქბანეაშვალის შეკ
შეთასის საკათედრო ტაძარში 28 თებერვალს.

უკელასათვის ცხადია, რომ გონიერი დედ-მამა
მუდამ ზრუნავს თავისს შვილის გონივრულად აღზრ-
დაზე, ზეობრივად და გონებრივად განვითარებაზე-
მაცალინების შვილი თვისი ცხოვრების კეთილ გზა-
ზე დაყენოს; დედ-მამას უნდა შვილი მათი გამოვი-
დეს ღვთის მოშიში, ღვთის მორწმუნე, პატიოსანი,
კეთილი და სასარგებლო კაცი. ეგრეთვე გვეცევა
ჩვენ ქრისტიანებს წმ. ეკკლესია. წმ. ეკკლესია მუ-
დამ ზრუნავს, მუდამ მაცალინებს, რომ შვილი
მისინი, ანუ წევრნი—ქრისტიანენი—აღზარდოს, გა-
ნამტკიცოს და გამოიყვანოს ღვთის მოშიში, კეთილ
მორწმუნენი, კეთილ მოქმედინი; მოამზადოს მომა-
ვალ საუკუნე ცხოვრებისათვის; ზრუნავს, რომ ყო-
ველი ქრისტიანე გახდეს სასუფეველის ღირსი და არ
დარჩეს იგი სასუფელის გარედ. შვილის აღზრდისა-
თვის დედ-მამა ხმარობს სხვა და სხვა ზომებს, სხვა
და სხვა საშვალობათა, რომელთა შემწეობით შვილ-
ნი მათნი იზღრებიან და ვითარდებიან. ეგრეთვე წმ.
ეკკლესია ხმარობს სხვა და სხვა საშვალებას, რომ-
ლის შემწეობით ქრისტიანენი გახდებიან სასუფევ-
ლის ღირსი. საშვალებანი, ანუ ეკკლესის მცნე-
ბანი, რომელთაც წმ. ეკკლესია ხმარობს ქრისტია-
ნეთა აღსაზრდელად, განსამტკიცებლად და სასუფევ-
ლის დასამკვიდრებლად, ბევრგვარნი არიან. ჩვენ და-
ვასახელებთ აქ ზოგიერთ მათგანს: 1-დ, წმ. ეკკლესია
გვიბრძანეს ჩვენ, რომ ვლოუცილობდეთ ღმერთსა შე-
მუსერილითა გულითა და დამდაბლებულითა სულითა,
ყოველ კვირა-უქმე დღეებში ვისმენდეთ წირვა-
ლოცვასა და სწავლასა, როგორც იტყვის საღმრთო
წერილი: „ჯერ არს მარადის ლოცვა... ილოცევდით
ყოველსა უამსა სულითა... მოუკლებელად ილოცევ-
დით...“ (ლუკ. 18, 1; ეფე. 6, 18; 1 ოქსა 5 ლ.);
2-დ, წმ. ეკკლესია გვიბრძანებს ჩვენ, რომ შევიდეთ
სინაულში, ჩვენთა ცოდვათა აუარებდეთ მოძღვარ-
თა და ვეზიარებდეთ წმ. საიდუმლოთა წელიწადში
თხხერ და ვისაც არ შეუძლია რაიმე მიზეზის გამ
ოთხხერ მომზადება წმ. საიდუმლო ზიარების მისა-

ლებად, ის მოემზადებოდეს და ეზიარებოდეს წელი-წალში ერთხელ მაინც. ვ-დ, წმ. ეკკლესია გვიბრძანებს ჩვენ დავიცვათ ყოველ წელს დაწესებულნი მარხვანი: ღიღ-მარხვა, ქრისტე შობის მარხვა, პეტრე პავლობის მარხვა, მარიამობის მარხვა, ოთხშაბათ-პარასკევი და სხ.; წმ. ეკკლესია სხვა საშვალებასაც ხმარობს ჩვენდა მოსამზადებლად სასუფევლისათვის, მაგრამ დღეს ჩვენ მიგაქციოთ ყურადღება მარხვას, სინანულს და ლოცვას და გავითვალისწინოთ, თუ რავდენად ესაჩერებლობთ ჩვენ მა საშვალებებით. რა არის მარხვა? მარხვა, ანუ მარხულობა არის დათმენა სასმელ საჭმელისა არა ხორციელ საჭიროებისა გამო, არამედ სულიერ მოღვაწეობისა გამო. ვინც სული-სათვის მოღვაწეობს, ზრუნავს და მაცადინობს განიწმიდოს სული თვისი ცოდვებისაგან, ის ხშირად უკვირდება თავის თავს, ანგარიშს სთხოვს თავისს თავს, თუ რა ცოდვა ჩაუდენია მას, წარმოიდგენს ცოდვებს მის მიერ ჩანადენს და გულში სწუხს, სი-ნანულში ვარდება და ეველრება ღმერთს ცოდვების მიტევებას. ეს სულიერი მწერალება, სინანული და ღვთის ვეძრება ავიწყებს მას ხორცზე ზრუნავს — სასმელ-საჭმელს და ამ გვარად მაშინ ის მარხულობს. მარხვა სწმენდს კაცის სულს ცოდვისაგან, ისე რო-გორც ცეცხლი სწმენდს ოქროს სხვა და სხვა ნივ-თიერებისაგან; მარხვა აღამაღლებს, აღაფრთოვანებს კაცის სულს და უახლოვებს ღმერთს. როგორც ახლა ვსთკვით დანიშნულება მარხვისა, ანუ მიზანი მარხვისა არის ცოდვისაგან განწმენდა, ღმერთთან დაახლოვება და სასუფევლის დამკვიდრება. მაგრამ ყოველი მარხვა მიაღწევს მა მიზანს, ამ დანიშნუ-ლებას? მაგალითად, საკმაო არის ისეთი მარხვა, როგორც ზოგიერთ ჩვენგანს მიაჩნია, ესე იგი მარტო სახსრილო საჭმელის დათმობა მარხვაში? არა, ევ არ კმარა. მაშ როგორი მარხვა მიაღწევს თავის დანიშ-ნულებას? ამის პასუხს გვაძლევს ჩვენ თვით უფალი ღმერთი ჩვენი: უკეთუ მარხულობ და ცუდ საქმე-ში ჩადიხარ, ეგეო მარხვას არ შეგიწყნარებს ღმერ-თი, არამედ მარხულობას უნდა შეეურთოთ ლოცვა, ღვთის ვეძრება (2 მეფ. 12, 16; ეზრ. 8, 23; და-ნიელ. 9, 3; ლუკ. 2, 37; 1 კორ. 7, 5), სინანუ-ლი (1 მეფ. 7, 6; დან. 6 3—6), ყოველი კეთილი საქმე და განვიშოროთ ყოველი ცუჯი საქმე (ისაია 8 თ.; ზაქ. 7 თ.). ახლა გადავავლოთ თვალი ჩვენ ცხოვრებას, ჩვენ მოქმედებას, ჩვენ საქმეებს: ვსარ-

გებლობთ ჩვენ ამ საშვალებებით? ვასრულებთ ჩვენ ეკკლესის მცნებებს შესახებ დაცვისა, სინანულისა და მარხვისა? ამის პასუხი თვითოვეულმა ჩვენგანმა მოთხოვოს თავის თავს, რავდენად სარგებლობს ამ საშვალებე-ბით, რავდენად ასრულებს ეკკლესის ამ მცნებებს. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ხშირად ჩვენი ეკკლესიები წირვა-ლოცვის დროს ცარიელი არიან, შეგ არ მოიპოვებიან ათიოდე მლოცველნი; ხშირად შევხვ-დებით ჩვენ ისეთ ქრისტიანებს, რომელნიც ნაკლე-ბად ზრუნავენ სინანულზე, აღსარებაზე და წმ. საი-დუმლო ზიარების მიღებაზე, ზოგი ჩვენგანი ოთხ-უთ წელიწადს და მეტსაც არ იღებს წმ. საიდუმ-ლო ზიარებას, უფრო ხშირად შევხვდები ისეთ ქრისტიანებს, რომელთაც არც კი იციან მარხვა და, სამწუხაროდ, არც კი მიაჩნიათ საჭიროდ და სავალ-დებულოდ მარხულობა. მაგრამ ასეთი ქრისტიანენი ნუ დაივიწყებენ, რომ თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტე იმარხულა ორმოკუ დღე და ღამე (მათ. 4, 2; ლუკ. 4, 3), მარხულობდენ მოციქულები (2 კორ. 6, 6), მარხულობდენ პირკელნი ქრისტია-ნენი (საქ. მოც. 13, 2), მარხულობდენ წმ. მამანი და ყოველნი კეთილ მორწმუნე ქრისტიანენი. ეკ-რეფვე მარხულობდენ ძველ აღთქმაშიაც (გამოს. 34, 28; 2 მეფ. 1, 11—12; 12, 16; მსაჯ. 20, 26 დსხ.) ღმერთიც გვიბძანებს ჩვენ, რომ ვიმარხუ-ლოთ, წმიდა ვყოთ მარხვა, (ყოველ. 1, 14, 2, 15.). მაშ საჭიროც არის და სავალდებულოც ჩვენთვის მარხვა. შეიძლება, ვინმე კეთილ-მსახურმა ქრისტია-ნებ იფიქროს: უკეთუ ჩვენ ცოტათ ვზრუნავთ სუ-ლის განწმედაზე, მაშ რას ვაკეთებთ, როგორნი არიან საქმენი ჩვენენ? ამის პასუხს გვაძლევს ჩვენ ღირსი მამა დანიელ თვის იგავში, რომელსაც აქვე მოვიყან: ერთი ვინმე მღვდელ-მონაზონი იჯდა თა-ვის სენაკში, მან ვაიგონა ზეცილგან ხმა: „გამოვედ, მე შენ გიჩვენებ კაცთა საქმეებს“. მღვდელ-მონა-ზონი გამოვიდა სენაკილგან, დაინახა ანგელოზი უფ-ლისა და თაყვანი სურა მას. ანგელოზმა უჩვენა მას ერთი კაცი, რომელიც შეშა ჭრიდა, მან დაჭრა შეშა და შეკრა ტვირთი, ასწია, უნდოდა მხარზედ აედო, მაგრამ ტვირთი მძიმე იყო და ვერ შეძლო აღება. ნაცველია იმისა, რომ მოვკლო ტვირთის-ოვის, მან კიდევ დაჭრა შეშა, ტვირთს ზიუმატა და ასწია, მაგრამ ვერ ზიდა, რადგანაც ტვირთი უფრო დამძიმდა, კიდევ მიუმატა შეშა ტვირთს და ეს მან

განიმეორა რაოდენიმეჯერ, ანგელოზმა გაიარა ცო-
ტაოდენი და მღვდელ-მონაზონს უჩვენა მეორე კაცი,
რომელიც ჭიათან იდგა, წყალს იღებდა და ასხამდა
გატეხილ ჭურჭელში, წყალი გადიოდა და ისევ ჭა-
ში ჩადიოდა. მღვდელ-მონაზონს გაუკვირდა ეს
გარემოება და განშორდა მას. მღვდელ მონაზონშა
დაინახა ეკკლესია და ვიღაც ორი ცხენოსანი კაცი,
იმათ ეჭირათ ხელში გრძელი ხე გარედგან ეკკლე-
სის კარებისა და უნდოდათ შეეტანათ ეკკლესიაში,
ბევრი წვალეს, მაგრამ მათი შრომა ამათ იყო, რა-
დგანაც ხე უგრძესი იყო კარების სიგანეზე და კა-
რების პირდაპირ ხე არ მოაბრუნეს. თი კაცთა საქ-
მენია, უთხრა ანგელოზმა მღვდელ-მონაზონს, შე-
შის მჭრელი კაცი ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც
ცოდვაში ცხოვრობს და სინანულს არ დაეძებს,
არამედ ცოდვაზე ამატებს ცოდვას და ტვირთი
ცოდვისა თან და თან უმშიძება. კაცი, რომელიც
ჭიდგან წყალს იღებს და გატეხილ ჭურჭელში ას-
ხამდა, ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც თუმცა ხან
და ხან კეთილ საქმეს შვრება, მაგრამ არ ტოვებს
ის თავისს ცოდვებს, არ შედის სინანულში, არ
ეველრება ღმერთს ცოდვების მოტევებას და არ მარ-
ხულობს. კაცნი, რომელთაც ხე შექმნდა ეკკლე-
სიაში, არიან ისინი, რომელიც კეთილ მომქმედნი
არიან, ამპარტავანი და ამპარტავნობა ხელს უშლის
სასუფეველში შესვლას. ძმანო ქრისტიანენო! ჩვენ
უველის გვაძევს ტვირთი მძიმე ცოდვისა, ამ ცოდვის
ტვირთს ნუ დაუმატებთ კიდევ ცოდვას, თორემ
ველარ აცხვეთ მას, არამედ ცოდვით, სინანულით
და მარხულობით შევინანოთ ჩვენ მიერ ჩადენილი
ცოდვანი და მაშინ ტვირთი ცოდვისა შეგვამსუბურ-
დება, მოგვაკლდება ცოდვა, გაგვიადვილდება სუ-
ლის განშემდე ცოდვისაგან. ხოლო როცა კეთილ
საქმეს ჩავდივართ, ვეცადოთ აღარ განვიმეოროთ
ის ცოდვები, რომელიც ჩაგვიდებია და არ ვიამ-
პარტავნოთ, არ ვიმედიდუროთ ჩვენი კეთილი საქ-
მებით, არამედ თავმდაბლობით განვაგრძოთ ლოცვა,
სინანული და მარხვა და კეთილი საქმები და მაშინ
ჩვენ დავიმკვიდრებთ სასუფეველს. ლოცვა, სინანუ-
ლი და მარხულობა ჩვენ ყოველ დროს შეგვიძლია,
მაგრამ ეხლა დევბა საუკეთესო დრო ლოცვისა, სინა-
ნულისა და მარხულობისა. ვისარგებლოთ ამ დროით:
ვიმარხულოთ, შევიდეთ სინანულში და ვევედროთ
უფალს, რომ მან შევვიმსუბურება ტვირთი მძიმე
ცოდვათა ჩვენთა და გავცხადოს სასუფევლის ღირსნი.
ამინ.

მ. წარულებაზი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი
წერილები:

I

მ. რ. წარსულს წელში უცაბედი შემთხვე-
ვით მე დამეწვა სახლ-კარი და უკვე დაუკარი, რაც
გამაჩნდა საქონლი. ნათ, მ ვაქეცი სამდვდელო-
ბისადმი შემწეობის აღმოსაჩება და ზოგარ-
თებრა მ ძლიერისა და გვარა აღმომჩენებს ფულით
შემწეობა. აქ, სხვათა შორის, მოელ ქეთაისა
კათედრის კრებულისაგან მივიღე 34 მ. რომე-
ლიც გადმომეცა ქალაქის ბლადოჩინ ს მამა
ნესტურ უქბანიერვილისაგან. გელითად მად-
ლობისა ვაწირავ ქეთაისა კათედრის კრებულს
ამ დახმარებისათვის

მთავარ დიაკონი სერაფიონ ფერაძე.

II

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბო-
ძოთ, რომ თქვენი ეურნალის «მწყემსი»-ს საშ-
ვალებრთ მადლობა უძღვნა პატივ-ცემულ გავ-
კასიაში მართლ-მდიდარებელ ქრისტიანობის აღ-
მადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორს
და მ.სიონერს ბატონს ევტინი ბ. მამინაიმევილს,
რომელმაც შემოსწირა რწმენებულ ჩემდამო ზედ-
მიწერილ გულიდის წმიდის მაცხოვრის შეკლე-
სიას მემდევი საეკლ სიო და სამდვდელო ნივ-
თები: ერთი სახარება, ღირებული 25 მანეთისა,
სამოციქულო, ღირებული 5 მ., სანაწილე
ფრაქტისა, ღირებული 25 მ., ჯვარი ფრაქტისა,
ღირებული 5 მ., ორი მანდალი 3 ტარა ტრა-
პეზედ დასადგამა ფრაქტისა, ღირებული 2 მ.,
გარდამოსნა, ღირებული 2 მ მანეთისა, ტრაპე-
ზედ გადასათარებელი, ღირებული 8 მანეთისა,
ერთი წეება მდვრლის შესამოსელი, ღირებული
40 მანეთისა და ერთი სამირონე, ღირებული სამი
მანეთისა, რომლისათვისაც, როგორ მე აგრევე
ჩემი მრევჭარიც გელითად მადლობას უძღვნით
ბ. ევტინის რომელმაც 138 მანეთ-ს სად რალი
ნივთები შემოსწირა ჩვენს ცეკლებისა.

მღვდელი რომანოზ ფოფხაძე.

მილება ხელის-მოწერა 1899 ფლისათვის ორ
კვირეულ გამოცემათა გართულს

„პასტერ“-ზე

დ

რუსულ 『ПАСТЫРЬ』-ზე

უკრნალის ფასი:

12 თებერვალი 1899 წელი 3 გ. | 6 თებერვალი 1899 წელი 3 გ.
— „რუსული „ 3 გ. | — „რუსული „ 2 გ.
— „ორივე გამოცემა 5 გ. | — „ორივე გამოცემა 3 გ.
ბაზეთზე ხელის-შორის შეიძლება როგორც
უკირისება, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში
წერა-კარხების გამაცრეველებელ საზოგადოებრივ წერის
მ ღამიაშა, ბ. შორის ქუთაისშიაც. ფოთში — დეკ-
ნობ ბ. გრიგორ მაჭაროვან; საჩხერეში — ყარაბან
ჩხეიძესთან; სხალციხეში — დეკანობ დ. ბახუშვილან;
სხალციხეში — ბლალიში მა ა არიტარქ კალანდარ-
შეილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიპით გაზრდებიდაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემ სამ მანეთად.

რედაქციის აქტების კანტორები: ქუთაისში ხანანაშეილე-
ბის სახლებში და უკირისება რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ბაზეშე მცხურებელთ უკრნალის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: Въ Квирили, въ редакцію газеты
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთავის
დანიშნულია ხაჩუქრები სახულის ღვთის-


მომვლის ფორმურაფიული ნახატი.

და ჩვენი მოღვაწის ბაზონის

კაპის სურათი,

გრესტოლის ქალაქზე დაბეჭდილი.

ზემოაღნიმნულ ხაჩუქრებს ხელის მომწერნი
მიიღებენ ფულის მემორანისთანავე,



რედაქტორ-გამოცემელი დეკ. ლ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 апреля 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановихъ, на Нѣмецкой ул.

განცხადება

თანხმად სანთლის გამვე კომიტეტის უკრნა-
ლის დადგენილობისა, დამტკიცებულის მის ყოვ-
ლად უსამღვდელოების იმერეთის ეპისკოპოსის
ბეჭარიონისაგან ქუთაისის სანთლის საწყობში მჯდო-
მი ვალდებულია საწყობში იყოს ზამთრობით დი-
ლის რვა საათიდან ნაშუადლევის მეორე საათის და-
წყებამდის. მეორე საათზე სანთლის საწყობი დაკე-
ტილია მესამე საათის დაწყებამდის. მესამე საათი-
დან მოკიდებული საწყობი ლია არის საღამოის რვა
საათის დასრულებამდის. ზაფხულობით საწყობი ლია
არის დილის შვიდი საათიდან საღამოის ცხრა საათის
გათავებამდის და სასაღოლოთ ეძლევა თვისუფლება
ვირველი საათიდან მესამე საათამდის ნაშუადლევისა,
ე. ი. ერთ საათს.

სანთელი ყველის შეუძლია იყიდოს მხოლოდ
წლინით არა ნაკლებ ერთი გირვანქის მეოთხედისა.
საწყობში ღერობით სანთლის გაყიდვა სასტიკად
აკრძალულია.

კომიტეტის თავსმჯდომარე დეკ. ლ. ლამბაშიძე
წევნი კომიტეტისა მღ. ფ. ფხავაძე
და მღ. ს. ლაპვერშვილი

8 0 6 1 5 6 6 0:

სალითერატურული გაცემისილება: იმერეთის ეპარ-
ქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 16,
17, და 18 მარტს. — მურე შენიშვნა. — ორითდე სიტყვა
ყვავილის შესახებ. — სისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერი-
ლები. — ლოთობის უბედური შედეგები — ახალი ამბები და
შენიშვნები.

სრავლა და გაცემის გარემონტირების სასამა-
ნოებასა და კათოლიკოსობაზე: აჯანის კერა. მამაკაცი და
დედაკაცი: დედები. — სიტყვა, თქმული მღ. ბ. უზანებელის
მიერ 28 თებ. ქუთაისის ხავთელრო ტაძრში.

შეწირულებანი. — განცხადება.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.